ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4417700

ნომერი: AR1663426

თარიღი : 22.02.2019

გაცემის თარიღი : 18.03.2019

გაცნობის თარიღი : 25.03.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა, N 80;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ელგუჯა პატაშური პ/ნ 01011043635
- კობარეთის 71

ნომენკლატურა :

- დამხმარე - ტექნიკური შენობები
- II კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: უშანგი იშხანიშვილი; გიორგი გვარამაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01024060458; 01011043635;

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 3568.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 205.9
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 706.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 674.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 32.0

- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 3.55
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 3.4
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.15

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

ვბრძანებ

1 . შეთანხმდეს ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა, N 80-ში, მოქ. უშანგი იშხანიშვილის და შპს „ოპოკო“-ს თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N 01.19.21.002.351) არსებული ორი ცალკემდგომი შენობა-ნაგებობის (N1-ით რეგისტრირებული) დემონტაჟის პროექტი.
2. გაიცეს დემონტაჟის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალოს სანებართვო მოწმობა;
3. დემონტაჟის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 18 მარტიდან 2019 წლის 18 აპრილის ჩათვლით.
4. განემარტოს დამკვეთს მშენებლობის მწარმოებელი/დამკვეთი ვალდებულია დაიცვას, კანონმდებლობით, მათ შორის სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები.
5. დამკვეთი ვალდებულია სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს სამშენებლო დოკუმენტაციის სათანადოდ დამოწმებული ეგზემპლარი და შემდეგი დოკუმენტაცია, პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით:
5.1 სამშენებლო მიწის ნაკვეთზე გამოკრული საინფორმაციო დაფა ბანერი– შესაბამისი რეკვიზიტებით;
5.2 დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი ამავე დადგენილების 61–ე მუხლის შესაბამისად.
6. სადემონტაჟო სამუშაოები განხორციელდეს სამშენებლო რეგლამენტით გათვალისწინებული უსაფრთხოების ნორმის დაცვით ;
7.დემონტაჟის წარმოებისას დაცული და შენარჩუნებული იქნას ტერიტორიაზე არსებული ხე– ნარგაობა;
8.ტერიტორიაზე ხაზობრივი ნაგებობების არსებობის შემთხვევაში საჭიროების შემთხვევაში საკითხი წინასწარ იქნას შეთანხმებული შესაბამის სამსახურებთან;

- კდამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.